

ინტეგრირებული სამოდულო გაკვეთილის გეგმა  
( ქართული; ბუნება)

მასწავლებლის სახელი , გვარი : თამილა შარაბიძე

საგანი : ქართული ; ბუნებისმეტყველება

სწავლებლის საფეხური /კლასი : დაწყებითი, მეოთხე კლასი.

მოსწავლეთა რაოდენობა<sup>1</sup> : 28

სსსმ მოსწავლე: 0

გაკვეთილის ტიპი: სამოდულო გაკვეთილი ; ინტეგრირებული

გაკვეთილის თემა :

**ქართული:** ზღვები რატომ არ ივსება და ნაპირებიდან არ გადმოდის (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით)

**ბუნება:** წყლის ბრუნვა ბუნებაში.

გაკვეთილის მიზანი : მოსწავლე დაეუფლოს კითხვის ტექნიკას. შეძლოს წაკითხულის გააზრება შეძლოს კონკრეტული ინფორმაციის პოვნა მოცემულ ინფორმაციებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირის ამოცნობა. ხელი შევუწყოს მოსწავლეებში გაგება-გააზრების. შედარების პრაქტიკული უნარ -ჩვევების გამომუშავებას შეძლონ უსაფრთხოების წესების დაცვით მარტივ პრაქტიკულ აქტივობაში მონაწილეობა; განვიითარონ დაკვირვებისა და დასკვნების გამოტანის უნარებ-ჩვევები

---

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

ბუნ. ..IV (1)მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

ბუნ,(დაწყ) IV .2 მოსწავლემ უნდა შეძლოს წყლისა და ხმელეთის მნიშვნელოვანი ობიექტების აღწერა.ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობაზე მსჯელობა;

ბუნ (IV) 7 ბუნებრივი მოვლენების აღწერა და გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა.

ქართ .საწყ. ( IV) 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტით მოსმენა,გაგება-გააზრება და გადმოცემა

ქართ (IV) 9. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის მიმართ. ტექსტის თემის და მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება

ქართ (IV) 12 მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად

ჩატარების თარიღი: 21 . 02 . 2019.წელი

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წუთი

მოსალოდნელი პრობლემა: დროის მენეჯმენტი: ტექნიკური შეფერხება.

პრობლემის გადაჭრის გზები: პრობლემის თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული და მომზადებული იქნება შესაბამისი პრობლემის გადაჭრის გეგმა.

წინარე ცოდნა: მოსწავლეებს აქვთ ტექსტის წაკითხვის ,მოსმენისა და გააზრების უნარ -ჩვევები

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი / მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა / ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წუთი)	აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი
1	საორგანიზაციო საკითხების მოგვარება გაკვეთილს თემის, მიზნისა და შეფასების ფორმის/კრიტერიუმის გაცნობა	ვერბალური კომუნიკაცია	მთელ კლასთან	შეფასების კრიტერიუმი	2 წუთი	განსაზღვრული იქნება მიზანი და მოლოდინები

<p>2</p> <p>3.</p>	<p><b>A</b> ფაზა - გამოწვევა, წინარე ცოდნის გააქტიურება.  მიზანი: კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემების გახსენება  მასწავლებელი კითხვით მიმართავს კლასს:  დავუშვათ ,თქვენ გადაწყვეითეთ მოგზაურობე და აღმოჩნდით უკაცრიელ ადგილზე, რას მოიმექმედებთ პირველ რიგში სიცოცხლის გადასარჩენად?</p> <p><b>B</b> ფაზა- სიღრმისეული წვდომა.  მიზანი: მოსწავლეებმა ვიზუალურ მასალაზე დაკვირვებით ადვილად შეძლონ თემის აღქმა გააზრება.თუ როგორ ხდება წყლის ბრუნვა ბუნებაში</p> <p>პროექტორით გაშუქებული იქნება ზღვა ,ზღვის სანაპირო , ღრუბლები, წვიმა,თოვლი. გაიმართება საუბარი. მოცემული სლაიდის შესახებ.გამოითქმება ვარაუდები, მასწავლებელი გაკვეთილის აბზაცებში გამოყენებული კითხვების საშუალებით მოსწავლეებს ამუშავებს ტესტის გააზრებაზე. შემდეგ სათანადო კითხვების დასმით მოხდება ბუნებაში მოცემულ გაკვეთილში განსხვავებული ინფორმაციის დამუშავება.</p> <p>აქტივობა ვიმუშაოთ წყვილებში</p>	<p>გონებრივი იერიში</p> <p>დისკუსია კითხვა - პასუხი</p> <p>ვენის დიაგრამა</p>	<p>მთელ კლასთან</p> <p>საერთო-საკლასო ინდივიდუალური</p> <p>წყვილებში</p>	<p>პროექტორი.სლაიდი  სახელმძღვანელო ცარცი ,დაფა</p> <p>თაბახის ფურცლები,მარკერები.ფანქრები</p>	<p>3 წუთი</p> <p>18 წთ</p> <p>4 წუთი</p>	<p>მოსწავლეები გააქტიურებენ წინარე ცოდნას,შეძლებენ ყურადღების მობილიზებას</p> <p>ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით შეძლებენ თემის აღქმას .ხელი შეეწყობათ მოცემული ინფორმაციების ერთმანეთთან დაკავშირება - გააზრების უნარ ჩვევების განვითარებაში.</p> <p>ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით შეძლებენ თემის</p>
--------------------	---	---	--	--	--	--

<p>აქტივობა. მულტფილმის „თოვლის გუნდა“ -ს ჩვენება  მიზანი: მიღებული ცოდნის განმტკიცება  მოსწავლეები ნახავენ ქართულ მულტიპლიკაციურ ფილმის ეპიზოდებს, რომლის შემდეგაც იმართება საუბარი ინფორმაციის განმტკიცებისა და უკეთ აღქმის მიზნით . სხვა მნიშვნელოვან დეტალებთან ერთად, მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას გაამახვილებს წყლის სამივე მდგომარეობაზე:  რად გადაიქცა თოვლის გუნდა თავდაპირველად? შემდეგ? (წყლად, ორთქლად/ ღრუბლად, წვიმად).  სახელმძღვანელოში მოცემული სურათების აღწერა და დაკავშირება ფილმში ნახთან. ასევე აიხსნება, რომ წყლის გარეშე სიცოცხლე არ შეიძლება. ყველა ცოცხალ ორგანიზმს არსებობისათვის წყალი ესაჭიროება. ცხოველები მას პირდაპირი გზით იღებენ, სვამენ ან წყალი საერთოდაც მათი საცხოვრებელი გარემოა, ე. წ სახლია.  მცენარეები წყალს ფესვებით შეიწოვენ. უფრო მეტიც, ისინი წყალთან ერთად შეიწოვენ მასში გახსნილ საკვებ ნივთიერებებს. თუ გვალვიანი წელია და ნიადაგს წყალი შემოაკლდა , მცენარეს საკვების მიღება გაუჭირდება და თუ დროულად არ მიეშველე, შეიძლება განმეს კიდევ. სწორედ ამიტომ მცენარეებს ზაფხულში ხშირად რწყავენ.</p>	<p>ვიდეო მეთოდი  მსჯელობა</p>	<p>მთელ კლასთან</p>	<p>პროექტორი, კომპიუტერი, ქართული მულტფილმი „თოვლის გუნდა“ სახელმძღვანელო</p>	<p>6 წუთი</p>	<p>მოსწავლეები ფილმის ნახვის საშუალებით განიმტკიცებენ ცოდნას.</p>
---	---	---------------------	---	-------------------	---

<p>4</p>	<p>ცდა: წყალი ნიადაგში მიზანი განუვითაროთ დაკვირვებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევა; უსაფრთხოების წესების დაცვით მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობის უნარები</p> <p>წყალი მიწაში, ნიადაგშიც არის. უფრო მეტიც, იგი მიწის ქვეშაც გვხდება.</p> <p>ოდითგანვე ადამიანს უამრავი კითხვა უჩნდებოდა და უჩნდება დღესაც: რატომ? საიდან? იგი ცდილობდა ამ კითხვებზე პასუხის პოვნას, აკვირდებოდა და შეისწავლიდა გარემოს, ატარებდა ცდებს კითხვებზე პასუხის მისაღებად. ასეთ სამეცნიერო ცდებს ექსპერიმენტები ეწოდება. მოდით ჩვენც ჩავატაროთ ექსპერიმენტი.</p> <p>მასწავლებელი ანთებს სპირტქურას, რომელზეც ათავსებს თუნუქის თეფშზე დაყრილ მიწას, ნიადაგს. მიწის, ნიადაგის გათბობის შემდეგ მას ახურავს თუნუქის თავსახურს. 1-2 წუთის შემდეგ მოხდის მას და ბავშვები თავად განდებიან მოწმე, რომ თავსახური წყლის წვეთებით არის დაფარული. (თავსახურად შეიძლება გამოვიყენოთ სარკე ან მინა). ბავშვები თავად გამოიტანენ დასკვნას, რომ ნიადაგი შეიცავს წყალს, რადგან გაცხელების შედეგად წარმოქმნილი ორთქლი სწორედ წყლის შემცველობას ადასტურებს</p>	<p>პრაქტიკული მუშაობა</p>	<p>მთელი კლასთან</p>	<p>სპირტქურა, თუნუქის თეფში, მიწა, სარკე ან მინის სახურავი.</p>	<p>6 წუთი</p>	<p>განუვითარდებათ პრაქტიკულ აქტივობებში მუშაობის უნარ-ჩვევები.</p>
----------	--	---------------------------	----------------------	---	---------------	--

<p>5</p>	<p><b>C ფაზა</b> - შეჯამება, მოსწავლეთა რეფლექსია.  დავალების მიცემა და მოსწავლეთა შეფასება განმავითარებელი კომენტარით</p> <p>მიზანი: გაკვეთილზე შეძენილი უნარების ავტომატიზაცია და უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე.</p> <p>დავურიგებ მოსწავლეებს <b>WORD</b>-ის დოკუმენტში მომზადებულ კითხვებს. (ამოიღიონ სასურველი კითხვა) ან შეასრულონ სურვილისამებრ ილუსტრაცია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- უფროსების დახმარებით მოაგროვონ ინფორმაცია იმის შესახებ, დაახლოებით რამდენ წყალს მოიხმარს მათი ოჯახი დღე-ღამის განმავლობაში, ჩამოწერონ რისთვის?</li> <li>- უფროხილდებიან თუ არა წყალს? და როგორ?</li> </ul> <p>მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მოკლედ შეაჯამებს ამ გაკვეთილზე ჩატარებული აქტივობების შედეგად შეძენილ ცოდნას.</p> <p>შეფასების საგანი კი იქნება გაკვეთილზე ჩართულობა.</p> <p>მოსწავლეებში კითხვების საშუალებით შეჯამდება გაკვეთილი.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- როგორი იყო გაკვეთილი?</li> <li>- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?</li> <li>- მიღწეული იქნა თუ არა გაკვეთილის მიზანი?</li> <li>- რა გავაკეთეთ გაკვეთილზე?</li> </ul> <p>-3</p>	<p>გაკვეთილის შეჯამება- შეფასება</p>	<p>ინდივიდუალური</p>	<p>შეფასების რუბრიკა <b>WORD</b>-ის დოკუმენტში მომზადებული საშინაო დავალება.</p>	<p>6 წუთი</p>	<p>უკუკავშირის გზით მოსწავლეები შეძლებენ გაკვეთილზე შეძენილი უნარების ავტომატიზაციას.</p>
----------	--	--------------------------------------	----------------------	--	---------------	---

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები :

- მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნები ორივე საგანში მოცემული ინფორმაციის შესახებ. ახდენენ შეჯერებას ბუნებაში არსებულ წყლის ბრუნვაზე.
- სწავლობენ ინფორმაციების გაჯგუფება-დახარისხებას :
- უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობენ მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;
- ხელი შეეწყობათ ინტერესის განვითარებას.

შეფასება : განმავითარებელი, ზეპირი სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარით .მოსწავლეს კონკრეტულად ვუხსნით რომელი აქტივობაში იყო წარმატებული და სად ჰქონდა ხარვეზი, რა უნდა გააკეთოს იმისათვის რომ ხარვეზი აღმოფხვრას. ასევე შეფასდებიან წინასწარ შემუშავებული მოსწავლეთა გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკის მიხედვით.

**დანართი 1. მოსწავლეთა გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკა**

კრიტერიუმები	ძალიან კარგია	კარგია	საშუალოა
აქტიური მონაწილეობა	ყოველთვის მონაწილეობს და ხშირად წარმართავს კიდევ საგაკვეთილო მსჯელობას.	მონაწილეობს საგაკვეთილო მსჯელობაში.	იშვიათად მონაწილეობს საგაკვეთილო მსჯელობაში.
გამართული და სწორი მეტყველება	გამართულად მეტყველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს	გამართულად მეტყველებს და იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს.	იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს. მეტ-ნაკლებად გამართულად საუბრობს.
სწორად პასუხობს დასმულ კითხვებს	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას.	თითქმის ყოველთვის ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას.	ხშირად ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას.



სხვისი აზრის პატივისცემა	უსმენს სხვებს და პატივს სცემს მათ აზრს. საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით.	უსმენს სხვებს და ზოგჯერ იზიარებს მათ აზრს. საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დასრულებას.
შეუძლია ვიდეოფილმის დაკავშირება სახელმძღვანელოში არსებულ მასალასთან	ი აზ რ ე ბ ს და კ ა რ გ ა დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ს ფ ი ლ მ ს ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო შ ი მოცემულ მასალასთან.	ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ს ფ ი ლ მ ს სახელმძღვანელოში არსებულ მასალასთან.	ნაწილობრივ აკავშირებს ფილმს სახელმძღვანელოში არსებულ მასალასთან

გაკვეთილის თვითშეფასების რუბრიკა

		1	2	3
1	გაკვეთილის მიზანი იყო გასაგები და კონკრეტული			
2	აქტივობები ემსახურებოდა მიზნის მიღწევას			
3	გაკვეთილის დაწყება იწვევდა მოსწავლეთა მოტივაციას			
4	ორგანიზებისფორმა ხელს უწყობდა მიზნის მიღწევას			
5	გამოყენებული რესურსი იწვევდა მოსწავლეთა მოტივაციას			
6	შეფასების შედეგი შეესაბამებოდა მიზანს			
7	გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესი და შესაძლებლობები			
8	ყველა მოსწავლის მიმართ ყუურადღეობა იყო თანაბრად გადანაწილებული			
9	ვიყენებდი აქტიური მოსმენის ტექნიკას			